ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №7

ქალაქი ქუთაისი
25 დეკემბერი, 2018 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბიროს დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
2. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
5. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
6. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
7. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
8. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
9. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
10. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
11. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
12. ქრისტინე მიქაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 21 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 12, 9 არ ესწრებოდა, სხვადასხვა მიზეზის გამო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ინგა აბრამიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი; გიორგი იობაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი;

ინგა აბრამიძე (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) წარადგინა დღის წესრიგი, რომელიც წევრებმა დაამტკიცეს შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია

2. ინგა აბრამიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ანგარიშის შემუშავება, ფორმა და მომზადება - მომხსენებელი ნუგზარ კოხრეიძე, საბჭოს მდივანი;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წელს განხორციელებული საქმიანობების შესახებ ანგარიში, მომხსენებელი: გიორგი ჭიღვარია, ქალაქ ქუთაისის მერი;

5. 2019 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების პროექტის გაცნობა საბჭოს წევრთათვის - მომხსენებელი დავით ნიშნიანიძე (საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი).

6. სხვადასხვა.

7. ინგა აბრამიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) - სხდომის დახურვა.

1. **ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი)** - მრჩეველთა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ანგარიშის ფორმის შესახებ, რომელიც 3 ნაწილისგან შედგება: 1. საბჭოს წევრების ჩართულობის და მუშაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები; 2. სამთვიანი გეგმის შესრულების შეფასება და 3. საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგები და აღსრულება.

2. **გიორგი ჭიღვარია (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი)** - წარადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წელს განხორციელებული საქმიანობების შესახებ ანგარიში.
მან პრეზენტაციის დროს გაამახვილა ყურადღება:
1. **ინფრასტრუქტურულ პროექტებზე:**
დასრულებულია: 141 ობიექტი (5,6 მლნ ლარი), მათ შორის: 20 საგზაო მონაკვეთი - 3.6 მლნ ლარი; მათ შორის თბილისის ქუჩა: ელ ენერგიის,

ინტერნეტ და სატელევიზო კომუნიკაციების კაბელები მოთავსდა მიწისქვეშა არხებში. მოეწყო ახალი გარე განათების სისტემა; 41 კორპუსის ეზო - 600 ათასი ლარი; 6 ლიფტი - 60 ათასი ლარი; 47 სადარბაზო - 282 ათასი ლარი; 14 ტრენაჟორი - 250 ათასი ლარი; 10 მინი სპორტული მოედანი - 440 ათასი ლარი; 3 ფასადი - 138 ათასი ლარი; ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი, ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისი სკეიდ-პარკი - 200 ათასი ლარი. მიმდინარეობს: #15 და #33 საბავშვო ბაღების ახალი ფლიგელების მშენებლობა (პროექტი გარდამავალია); დასასრულს უახლოვდება გამსახურდიას მესამე ჩიხის გზის მშენებლობა; წლის მეორე ნახევარში დამატებით მოპოვებული დაფინანსების ფარგლებში: დუმბაძისა და ბარათაშვილის ქუჩები - სამუშაოების სრული დატვირთვით მუშაობას ხელს უშლის წყლის სისტემების მშენებლობის სამუშაოები, თუმცა დუმბაძის ქუჩის დასრულებას ვგეგმავთ მიმდინარე წლის ბოლოსათვის; იაშვილის ქუჩა - თბილისის ქუჩის მსგავსად, ელექტრო და ინტერნეტ კომუნიკაციის კაბელები ეწყობა მიწისქვეშა არხებში. სტიქიის ფონდი: დასრულებულია: 17 საყრდენი კედელი (544 ათასი ლარი) დასრულების ეტაპზეა: 6 საყრდენი კედელი (227 ათასი ლარი) მუნიციპალური ბიუჯეტი: მდ. ოღასკურას კალაპოტის რეაბილიტაცია. პროექტი გარდამავალია. მიმდინარე წელს შესრულებულია 300 ათასი ლარის სამუშაოები. მათთვის ვინც ქალაქში "გავლით" მოვხვდით, მხოლოდ ილ. ჭავჭავაძის გამზირზე: ჭავჭავაძის #67 - გზა მაკდონალდსის ირგვლივ (პირველად ბოლო 10 წლის განმავლობაში); ავტოსადგურის გზა (პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში); გზა ავტოსადგურის მიმდებარედ; ჭავჭავაძის #11 - სკვერის რეკონსტრუქცია რეაბილიტაცია (მოეწყო სანიაღვრე, სარწყავი და განათების სისტემები; საფეხმავლო ბილიკები; ძელსკამები; ურნები; დაირგო 10 ერთეული წითელი ნეკერჩხალი, 1 ვერცხლისფერი ნაძვი; 70 ერთეული ევონიმუსი).

2. სოციალური პროგრამები

ქუთაისის 2018 წლის ბიუჯეტით 22 სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა არის გათვალისწინებული. წლის განმავლობაში (10 დეკემბრის მდგომარეობით): 1. სამედიცინო დახმარების პროგრამით ისარგებლა 2 820 ქუთაისის მოქალაქემ, რომელმაც თანადაფინანსების სახით მიიღო დახმარება ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტიდან –სულ 710 000 ლარის მოცულობით, რაც გათვლილ ბიუჯეტთან შედარებით 54 000 ლარით მეტია და არათუ ვერ მორ მოხერხდა ათვისება, დაემატა თანხები პროგრამას წლის ბოლოს; 2. მედიკამენტებით დახმარების პროგრამით ისარგებლა 630– მა მოქალაქემ და 118–მა დიალიზზე მყოფმა ბენეფიციარმა; 3. მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამით, ყოველთვიურ დახმარებას იღებს 544 ოჯახი, თვეში გაცემული თანხის ოდენობა საშუალოდ შეადგენს 65 000 ლარს, გარდა ამისა სულ წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისში 56 ოჯახს შეეძინა მე–4 და მეტი შვილი და გაიცა 58 700 ლარი ერთჯერადი დახმარების სახით; პროფესიული გადამზადებით, რომელიც წელს პირველად შევთავაზეთ მრავალშვილიან ოჯახებს,

ისარგებლა 4–მა ოჯახმა, ერთჯერადი დახმარების სახით 165 მრავალშვილან ოჯახზე ამავე პროგრამის ფარგლებში გაიცა 96 300ლარი; 4. მაგნიტური ქვიშის კურორტზე სარეაბილიტაციო პროგამით ისარგებლა (3-18 წლამდე შშმ პირებმა და 18 წელს ზემოთ მყოფმა შშმ პირებმა, რომელთა სარეიტინგო ქულაც 150 000 ან ნაკლებია) სულ 145 –მა მოქალაქემ; 5. შშმ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა და სტაჟირება გაიარა სულ 30–მა შშმ პირმა, დაიწყო შშმ პირთა მუსიკის სწავლების კურსები; 6. დაახლოებით 2 500 სოციალურად დაუცველ ოჯახს ქალაქ ქუთაისის მერია ყოველ თვიურად უხდის კომუნალური გადასახადების ნაწილს, თანადაფინანსების სახით (ელექტრო ენერგია, დასუფთავების გადასახადი), სულ გაცემული თანხის ოდენობა შეადგენს 133 100 ლარი ; 7. 2018 წელს დაწყებული ახალი პროგრამის ფარგლებში 27 მარტოხელა მშობელს, ქალაქ ქუთაისის მერიამ გადაუხადა კომუნალური გადასახადების ნაწილი (თვეში 30 ლარის ოდენობით), სულ 5600 ლარის ოდენობით; 8. ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ ბავშვთა თანადგომის პროგრამის და ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა პროგრამაში ჩართული არის 18 პირი; კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციარების დახმარებისათვის გაიცა დახმარებები; 9. ეპილეფსიით დაავადებულ პირთა პროგრამით ისარგებლა 177 ბენეფიციარმა და სულ გაიხარჯა 45 200 ლარი; 10. სააღდგომო და საახალწლო ნობათი სულ წლის განმავლობაში შეძენილ და გაცემულ იქნა 4700 ცალი; 11. 5 შშმ პირთა დღის ცენტრმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ბენეფიციარები, კომუნალური გადასახადის თანადაფინანსებით სახით მიიღეს წლის განმავლობაში 7700 ლარი; 12. აუტისტური სპქეტრის მქონე პირთა დაფინანსების პროგრამით, დეკემბრის მდგომარეობით, სულ ისარგებლა 53 ბავშვმა (ოქტომბერში ფინანსურმა რესურსმა მოგვცა საშუალება დაგვემატებინა 10 ბავშვი); პროგრამის მოცულობა ქალაქ ქუთაისის მერია 125 000 ლარი, კომპანია მ2 100 000 ლარი; 13. ყველა მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად (ომის ვეტერანებს, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების ოჯახებს, ავღანეთის ომში მებრძოლების ოჯახებს, ჩერნობილში მომხდარი ტრაგედიის აღდგენით სამუშაოებში მონაწილე პირებს და სხვ.) გარკვეული სიმბოლური დახმარებები გაიცემა ქუთაისის შესაბამის მოქალაქეებზე, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით სამშობლოს წინაშე, სულ 40 000 ლარის ოდენობით; 14. წელს, პირველად, შევედით ბაღებში და აბსოლიტურად უსასყიდლოდ იქნა გამოკვლეული 1150 5–6 წლის ასაკის ბაგა–ბაღების მოსწავლე. მე–4 პოლიკნინიკის მეშვეობით და მათი დაუღალავი შრომის შედეგად, გამოკვლეულ ბავშვთაგან 360 მდე ბავშვს დაუფიქსირდა კალცის ნაკლებობა და ორთოპედიული პრობლემები, ასევე 98 ბავშვს მხედველობის პრობლემა. ეს არის პრევენციის ყველაზე კარგი საშუალება, რადგან ამ ასაკში ძვლების აქტიური ზრდის პროცესი მიმდინარეობს და თუ დროულად არ იქნა დიაგნოსტირება, შესაძლებელია შემდგომში გართულებები გამოიწვიოს. გარდა ამისა, როგორც წინა სასკოლო პერიოდის ბავშვებს, მნიშვნელოვანია მოხდეს მათი მხედველობის

დიაგნოსტირება, რაც ასევე უსასყიდლოდ განხორციელდა. 15. „შინ მოვლის“ პროგრამით, რომლის განმახორციელებელიც გახლავთ „კარიტასი“ ისარგებლა 56 ბენეფიარმა, ქუთაისის მერიის თანადაფინანსება შეადენს წელს 20 000 ლარს; 16. ქალაქ ქუთაისი არის ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომელმაც განახორციელა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების Ex-Post RIA შეფასება. აღნიშნული შეფასების შედეგად გადაიხედა სამი პროგრამა და დაიგეგმა ახალი პროგრამები: 1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამას, რომლის მოცულობაც გაიზრდება 1 000 000 ლარამდე დაემატება 2 ახალი ქვეპროგრამა, რაც გათვალისწინებული გვაქვს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყებისა და ხელშეწყობისათვის საპილოტე პროგრამა და მეორე: მოგეხსენებათ, 2019 წლიდან, ცენტრალურ დონეზე, მრავალშვილიანი ოჯახი, რომელთაც ყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი და სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 300 000–ის, სახელმწიფო აძლევს 20 ლარიან ელექტრო ენერგიის ვაუჩერს ყოველთვიურად, რომლის მოცულობაც იზრდება არასრულწლოვანი ბავშვების რაოდენობის შესაბამისად, 10 ლარით; ჩვენ დავითვალეთ, და რადგან შევხედეთ, რომ საკმაოდ ბევრი ოჯახი რჩება აღნიშნული დახმარების მიღმა, ქვეპროგრამის სახით გავითვალისწინეთ, რომ 2019 წლიდან, მრავალშვილიანი ოჯახი,რომელსაც ყავს 4 და მეტი შვილი და აქედან თუნდაც ერთი არის არასრულწლოვანი და არ სარგებლობს სახელმწიფო პროგრამით, ჩვენ მივცემთ ელექტროენერგიის ვაუჩერს 20 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად; 2. შეხვედრების დროს ჩამოყალიბდა აზრი, რომ ქალაქ ქუთაისში მოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც წლების განმავლობაში ახორციელებენ სოციალური თემატიკის პროგრამებს, აქვთ დიდი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება, რადგან ამავე დროს არიან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლები, დახმარებას უწევენ ქ. ქუთაისში მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს. აღნიშნული ოჯახები ძირითად შემთხვევაში სახელმწიფო თუ ადგილობრივი პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებებითაც სარგებლობენ. საბოლოო ჯამში გამოიკვეთა, რომ ოჯახი მიუხედავად ცალკეული დახმარებებისა, ისევ საჭიროებს თანადგომას. გაცილებით ეფექტური იქნებოდა საჭიროების შემთხვევაში ყველა არსებული რესურსის გაერთიანება და კოორდინირებული მოქმედება კრიზისულ მდგომარებაში მყოფი ოჯახის გასაძლიერებლად. ასეთი მუშაობის პრინციპი შესაძლებლობას მისცემს დახმარების გამწევ ორგანიზაციებს ფლობდეს სრულ ინფორმაციას-დახმარების მიმღებ პირთა საერთო ბაზის მეშვეობით, არსებული რესურსის ეფექტურ ხარჯვასთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ახალი სოციალური პროგრამის შექმნის საჭიროება - „გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამის. „გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამის მიზანიც იქნება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას. პროგრამის ბიუჯეტი 50,0 ათასი ლარი. დეტალურად მოხდება აღნიშნულის პრეზენტაცია. 2019 წლიდან, პირველად, UNDP–ის ფინანსური

მხარდაჭერით, ჩვენი ვებ–გვერდის მეშვეობით იქნება შესაძლებელი ყველა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის ანოტაციის ნახვა და ასევე სახლიდან გაუსვლელად, ONLINE განცხადების წარდგენა სოციალურ სამსახურში სერვისი თუ დახმარების მისაღებად! რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში დავეხმარეთ 12 ოჯახს, სულ თანხის ოდენობა 26 000 ლარი, თვეში 200 ლარის ოდენობით; და რა თქმა უნდა ეს არ არის სრული ჩამონათვალი შესრულებული სამუშაოებისა სოციალური თუ ჯანდაცვის მიმართულებით;

საბჭოს წევრებმა შემდეგ საკითხებზე ისაუბრეს:

ქეთი ბერძენიშვილი (საბჭოს წევრი) - 1. ქალაქის დასუფთავებასთან დაკავშირებით; კერძო მფლობელობაში მყოფი ტერიტორიების დასუფთავების საკითხი. ტერიტორიებს, რომლებსაც კერძო მესაკუთრეები ყავთ (ძირითადად საუბარია მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ჯერ არ განხორციელებულა არანაირი სამუშაოები) არის დაბინძურებული და ნაგავსაყრელად ქცეული. მერიის ზედამხედველობის სამსახურმა შემოიღოს რაიმე ფორმის გაფრთხილების, ან დაჯარიმების მეთოდი, რომ მოუარონ ტერიტორიას; ახალი წლის განათებებთან და ქალაქის მორთულობასთან დაკავშირებით: იქნებ გახდეს შესაძლებელი, მომდევნო წლის ღირსეულად აღსანიშნად, ადრიანად დაიწყოს მზადება და პროცესში ჩართონ დიზაინერები; 3. ინფრასტრუქტურული და ქალაქის გამწვანებით სამუშაოებში ჩაერთონ ექსპერტები.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - შესთავაზა ქალაქის მერს, რომ შაბჭოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს მერიას 2019 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. ასევე გადასცა მერს ერთ დოკუმენტში შეკრებილი volis.ge ზე შემოსული და სხვა ინიციატივების დოკუმენტი.

დოკუმენტი წარმოდგენილია დანართის სახით.

თეონა გოგიშვილი (საბჭოს წევრი) - შეახსენა ქალაქის მერს გიგა მელქაძის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა: საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად ქალაქში დაიდგას მისი ძეგლი (ბიუსტი), შესაძლო ადგილი: კიკვიძის ძეგლის ნაცვლად და წინამდებარე მოედანსაც ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდოს. მერი მოიკითხავს და დაადგენს პასუხს.

ლევან როხვაძე (საბჭოს წევრი) - წარმოადგინა ინიციატივა, რომ მერიამ გამოყოს ადგილი სადაც ბატონი ლევანის ორგანიზაცია განათავსებს ყველა მნიშვნელოვანი ქუთაისელის გამოსახულებას.

აზრი ასევე გამოთქვეს: ინგა აბრამიძე, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, ქრისტინე მიქაძე.

3. **დავით ნიშნიანიძე** (საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი) - წარადგინა 2019 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის პარამატრები. 32 000 000 მდე ლარი - უფრო მეტია ვიდრე წინა ფორმულით ჰქონდა ქალაქს. 10 000 000 ლარი - ინფრასტრუქტურა; 4 800 000 ლარი - სოციალური პროგრამები: ბაღებისთვის - 10 000 000 ლარი; 4 000 000 ლარი - ადმინისტრაციული ხარჯები; 3 900 000 ლარი - სპორტი 4 000 0000 ლარი - კულტურა; 400 000 ლარი - ახალგაზრდობა - 120 000 000 - ახალგაზრდული ინიციატივები - სულ ჯამში ამ მიმართულებებისთვის გამოყოფილია 13 000 764 ლარი.
ბაღების, სხვადსხვა დაწესებულებების თანამშორმლებზე (მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა) გაიზარდა ხელფასების ნაწილი.

აზრი ასევე გამოთქვეს: ინგა აბრამიძე, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, თემურ ამყოლაძე, მამუკა თევდორაძე, ქრისტინე მიქაძე.

4. **სახვადასხვა:**

თემურ ამყოლაძე (საბჭოს წევრი) - წმინდა გიორგი ეკლესიაში სასაფლაოების, საფლავის ქვების გაწმენდა, და გასუფთავება ეკლებიდან.

ინგა აბრამიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) - ჭავჭავაძის ძეგლისა და მისი სკვერის მიხედვა; გამსახურიას ქუჩაზე - ტრენაჟორების დაყენება.

ნინო ხუხუა (საბჭოს წევრი) - საბჭოს მუშაობა უფრო გამჭვირვალე და ღია რომ გახდეს, მოხდეს საბჭოს მუნიციპალიტეტების მიხედვით მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება.

თამარ ხეცურიანი (საბჭოს წევრი) - სასურსათო მაღაზია სპართან საგზაო ორმოს შეკეთება.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - ყველა მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით შეიქმნას სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფები, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულ მოქალაქისგან შედგება და განახორციელებენ დროდადრო სამუშაოების მიმდინარეობას, ჩართავენ ადგილობრივ ბენეფიციარებს აქტიურად სამუსაოების განხორციელებაში და თავიანთ მოსაზრებებს, საბჭოს მეშვეობით გაუზიარებენ მერიას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ინგა აბრამიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე